საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/19736
09/12/2022

19736-2-03-2-202212091115

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **დიმიტრი ზურაბიშვილს**

ბატონო **დიმიტრი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2022 წლის 25 ნოემბრის № 34-342232936 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ ნავაზში, საერთაშორისო მნიშვნელობის **მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ10-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს **18** მეტრის დაშორებით მდებარე 627 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (ს/კ №72.03.10.971) აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული 627 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (ს/კ №72.03.10.971) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე